საქართველო, 2021

შრომითი ურთიერთობები იურიდიული მომსახურება

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

01

უფასო იურიდიული მომსახურება შრომის სამართლის საკითხებში

სერვისით სარგებლობა შეუძლიათ **მხოლოდ** საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრ და შრომის უსაფრთხოების სერვისით მოსარგებლე კომპანიებს

უფასო მომსახურება მოიცავს

სამართლებრივი კონსულტაცია

კომპანიისთვის შრომის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, სამართლებრივი კონსულტაციის (როგორც ონლაინ, ისე ფიზიკური) გაწევას;

შეხვედრის ჩანიშვნა იურისტთან

ზოგადი სამართლებრივი ექსპერტიზა

კომპანიაში მოქმედი შრომითი ხელშეკრულების/შიდა დოკუმენტების ზოგად სამართლებრივ ექსპერტიზას. აღნიშნული გულისხმობს, ასოციაციის მიერ შრომის მოქმედ კანონმდებლობასა და სასამართლო/შრომის ინსპექციის პრაქტიკასთან შეუსაბამო მუხლების იდენტიფიცირებასა პრობლემური საკითხების გადაჭრის სამართლებრივი მექანიზმების შეთავაზებას;

ინფორმირება

კომპანიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, შრომის კოდექსსა და შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ სხვა ნორმატიულ აქტებში დაგეგმილი/ განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, დამკვეთის ინფორმირებასა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევას;

კომპანიის ინტერესების დაცვა

კომპანიაში არსებულ ცალკეულ პრობლემურ საკითხთან მიმართებით, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობასა და ასოციაციის უშუალო ჩართულობით, კომპანიის ინტერესების დაცვას.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:

- მომსახურება არ მოიცავს დამკვეთის საწარმოში დასაქმებული თითოეულ თანამშრომლისთვის შრომითი ხელშეკრულების დადების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს (მხარეთა რეკვიზიტების შევსებას; ხელმოწერას; ხელშეკრულების უშუალოდ გაცნობას და სხვა ადმინისტრაციულ საკითხებს);
- მომსახურება არ მოიცავს სასამართლო წარმომადგენლობას.

02

ფასიანი იურიდიული მომსახურება შრომის სამართლის საკითხებში

სერვისით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ კომპანიას

ფასიანი სერვისი მოიცავს

- კომპანიაში არსებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით, ნებისმიერ საკითხზე, დამკვეთისათვის კონსულტაციების გაწევას, რომლის კონკრეტული პირობებიც განისაზღვრება ასოციაციასა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;

- შრომის ხელშეკრულებ(ებ)ის, შინაგანაწესის და შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტების სამართლებრივი ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში, დამკვეთთან შეთანხმებით, შესაბამისი ცვლილებების/დამატებების ასახვას;

- საჭიროების შემთხვევაში, მოქმედი შრომის ხელშეკრულების/შიდა დოკუმენტების (შინაგანაწესი; ბრძანება და ა.შ.) ნაცვლად, ახალი შრომის სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას. აღნიშნული არ გულისხმობს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების უზრუნველყოფას;

- შრომის კოდექსში და შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ სხვა ნორმატიულ აქტებში დაგეგმილი/განხორციელებული ცვლილებების თაობაზე დამკვეთის ინფორმირებასა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევას;

- შრომის ინსპექციასთან ურთიერთობას (გარდა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებისა), რაც გულისხმობს ობიექტური შესაძლებლობის არსებობის პირობებში, ინსპექტირებისას, შემსრულებლის ობიექტზე ყოფნას;

- საქართველოს პარლამენტთან, მთავრობასთან, შრომის ინსპექციასთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამკვეთის ინტერესების ლობირებასა და დაცვას.

შენიშვნა:

- მომსახურება არ მოიცავს დამკვეთის საწარმოში დასაქმებული თითოეულ თანამშრომლისთვის შრომითი ხელშეკრულების დადების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს (მხარეთა რეკვიზიტების შევსებას; ხელმოწერას; ხელშეკრულების უშუალოდ გაცნობას და სხვა ადმინისტრაციულ საკითხებს);

- მომსახურება არ მოიცავს სასამართლო წარმომადგენლობას. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს შეთანხმების საფუძველზე.



სერვისით სარგებლობის სხვა ბენეფიტები

დამსაქმებელთა ასოციაიის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ეგიდით გამართულ ტრენინგებზე/სემინარებზე
დასწრება.

მონაწილეობის მიღება სხვა თემატურ შეხვედრებსა და კონფერენციებზე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ შექმნილი შრომითი ურთიერთობების კომიტეტის საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა.

კომიტეტში საქმიანობა საშუალებას მოგცემთ შეიმუშაოთ და წარადგინოთ საკანონმდებლო ინიციატივები და გავლენა მოახდინოთ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის დახვეწასა და განვითარებაზე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ შემუშავებული
სახელმძღვანელოებით, წიგნებითა და სხვა
პუბლიკაციებით სარგებლობა.

სხვა სერვისები, რომელზეც განსაკუთრებული პირობებით ისარგებლებთ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობის შემთხვევაში

იხილეთ აქ

მომსახურების პირობები

მომსახურების ვადა, ღირებულება
და სხვა პირობები განისაზღვრება
კომპანიასთან ინდივიდუალური
მოლაპარაკების საფუძველზე

საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: 0159 თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #106
ტელ.: (+995 32) 2 14 73 73
მობ.: (+995 514) 088 888
ელ-ფოსტა: pr@employer.ge
ვებ-გვერდი: www.employer.ge